



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება N01-59/ნ

3 სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესისა და ფორმა №3 - რეცეპტის ბლანკის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 18 ივლისის №01-53/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 18/07/2014, 470230000.22.035.016280) შეტანილ იქნეს ცვლილება:

1. ბრძნებით დამტკიცებული დანართი №1-ის (მეორე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (სამკურნალო საშუალების) რეცეპტის გამოწერის წესი):

ა) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის („საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილება) ფარგლებში, პროგრამით გათვალისწინებული ქიმიოთერაპიული პრეპარატების გაცემა ავთიაქიდან პაციენტზე ხორციელდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელსა და საავთიაქო დაწესებულებას შორის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ანგარიშსწორების წესის საფუძველზე, ფორმა №3 რეცეპტის გამოყენების გარეშე.“;

ბ) მე-3 მუხლის:

ბ.ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რეცეპტის A განყოფილებაში სავალდებულოა შეივსოს:

ა) სამედიცინო დაწესებულების დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) რეცეპტის გამომწერი ექიმის სახელი, გვარი;

გ) პაციენტის სახელი, გვარი, ასაკი;

დ) რეცეპტის გამომწერის თარიღი;

ე) გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება, ფორმა, დოზა, რაოდენობა და მიღების წესი;

ვ) რეცეპტის მოქმედების ვადა.“;

ბ.ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. რეცეპტში დამატებით შესაძლებელია მიეთითოს რეცეპტის გამომწერი ექიმის და პაციენტის პირადი ნომრები (პ/ნ), ასევე, რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და/ან მისამართი).“;

ბ.გ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. რეცეპტზე ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება გენერიკული დასახელებით (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, დამატებით მიეთითოს სავაჭრო დასახელებაც). არაგენერიკული და კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება სავაჭრო დასახელებით.“.

გ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რეცეპტი, რომელიც არ იძლევა პაციენტისათვის საჭირო ფარმაცევტული პროდუქტის და/ან რეცეპტის გამომწერის განსაზღვრის საშუალებას, მიიჩნევა გაუქმებულად და ავთოაქში მისი წარდგენისას ფარმაცევტული პროდუქტი არ გაიცემა. ასეთი რეცეპტი გადაიხაზება, მიეთითება გაუცემლობის მიზეზი და უბრუნდება პაციენტს.“.

2. ბრძნებით დამტკიცებული დანართი №2 (ფორმა №3 რეცეპტის ბლანკის ფორმა) ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.


მუხლი 2

ამ ბრძანების ამოქმედებამდე არსებული ფორმა №3 რეცეპტის ბლანკის ფორმები (მიმოქცევაში ყოფნის მიუხედავად), ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ამ ბრძანების მიზნებისათვის.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრი



დავით სერგენკო

რეცეპტის ბლანკი
ფორმა N3

№000000 A ფორმა №3 რეცეპტი სამედიცინო დაწესებულება ----- ----- ექიმი ----- (სახელი, გვარი) ექიმის პ/ნ* ----- პაციენტი ----- (სახელი, გვარი, ასაკი) პაციენტის პ/ნ* ----- რეცეპტის გამოწერის თარიღი ----- რეცეპტის მოქმედების ვადა ----- Rp. ----- ----- ----- D.S. ----- ----- ----- ექიმის ხელმოწერა ----- ექიმის პირადი ბეჭედი ----- ბ.ა. ----- სამედიცინო დაწესებულების ბეჭედი (შტამპი) ----- ბ.ა. ----- რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია* -----	№ 000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№0000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№0000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება(სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№0000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება (სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება(სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----
	№000000 B წ/რაოდენობა ----- თარიღი ----- ბ.ა. -----	№000000 C წ/დასახელება(სავაჭრო დასახელება) ----- წ/ფორმა ----- წ/რაოდენობა ----- თარიღი -----

* რეცეპტის გამომწერი ექიმისა და პაციენტის პირადი ნომრების, ასევე, რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაციის მითითება არ არის სავალდებულო.